ხელშეკრულების პროექტი საქონლის (თანმდევი მომსახურებით) შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **——————— 2023 წ.**

I.მხარეები

1.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2023 წლის ----------, ერთის მხრივ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, წარმოდგენილი მისი ——————— სახით (შემდგომში – ,,შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ ——————— (შემდგომში–,,მიმწოდებელი”) შორის, წარმოდგენილი ——————— სახით, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

II. ხელშეკრულების საგანი

2.1. ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია ,,შემსყიდველს“ მიაწოდოს სს "სსე"-ის საკუთრებაში არსებული Ferrol-ის ტიპის PREXTHERM RSW 469-ის გათბობის ქვაბის სანთურა (თანმდევი მომსახურებით) (CPV კოდი: 50700000, 50200000) დანართი #1-ის (ფასების ცხრილი), დანართი #2–ის (ტექნიკური პირობა) და დანართი #3-ის (უსაფრთხოების წესები და პირობები) შესაბამისად.

2.2 დანართი #1, დანართი #2 და დანართი #3 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ჟ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

III. საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1. საქონლის (თანმდევი მომსახურებით) საერთო ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად და შეადგენს – (–) ლარს დღგ-ს (შემდგომში – ,,ხელშეკრულების ღირებულება“). ,,ხელშეკრულების ღირებულება“ ითვალისწინებს ყველა ხარჯს, მათ შორის შემსყიდველის მისამართამდე ტრანსპორტირების ხარჯს.

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება სრულად მიწოდებულ საქონელზე (თანმდევი მომსახურებით) ან/და საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მიწოდების დასრულებისას ფაქტობრივად მიწოდებულ საქონელზე (თანმდევი მომსახურებით) , საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანაზღაურებისათვის სათანადო დოკუმენტაციის (თუ მიმწოდებელი არის დღგ–ს გადამხდელი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის) წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 8 (რვა) სამუშაო დღის განმავლობაში;

3.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ანგარიშსწორებისათვის განსაზღვრული ვადის დადგომამდე საქონელზე (თანმდევი მომსახურებით) აღმოჩენილი ხარვეზის ან/და ნაკლის არსებობის შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი” ვალდებულია ,,შემსყიდველის” წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს აღმოჩენილი ნაკლოვანება ან წუნდებული საქონელი (თანმდევი მომსახურებით) შეცვალოს ახლით. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული დააყოვნებს ანგარიშსწორების პროცესს იმ ვადით, სანამ მიმწოდებლის მიერ სრულად და ჯეროვნად არ შესრულდება ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულება;

3.4 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მიმდინარეობისას მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი იქნა საავანსო გადახდა, შემსყიდველი მიმწოდებელს უხდის საავანსო თანხას (სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 40%) მიმწოდებლის მხრიდან შესაბამისი ოდენობის უპირობო და გამოუთხოვადი სავანსო-საბანკო გარანტიის შემსყიდველ ორგანიზაციაში მატერიალური სახით წარმოდგენის შემთხვევაში, საავანსო-საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში; იმ შემთხვევაში, თუ ,,მიმწოდებელი” არის დღგ-ს გადამხდელი, უპირობო და გამოუთხოვადი საავანსო-საბანკო გარანტიის შესაბამისი ანგარიშფაქტურა წარმოდგენილი უნდა იყოს ავანსის გადახდიდან 2 (ორი) სამუშაო დღეში. საავანსო-საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე არანაკლებ 30 კალენდარული დღით მეტი ვადით.

3.5. უპირობო და გამოუთხოვადი საავანსო-საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, თან უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე (დამოწმებული ნოტარიულად ან აპოსტილით);

3.6.რეზიდენტი მიმწოდებლის მიერ უპირობო და გამოუთხოვადი საავანსო-საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან გაცემული შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი და/ან ბეჭედდასმული;

3.7 არარეზიდენტი მიმწოდებლის მიერ უპირობო გამოუთხოვადი საავანსო-საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან საავანსო-საბანკო გარანტიის უცხოური ბანკიდან წარმოდგენის შემთხვევაში, მიმწოდებელმა მასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული საავანსო-საბანკო გარანტიის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების გაცემული უპირობო გამოუთხოვადი „კონტრ გარანტია" შემდეგი ფორმის დაცვით: „კონტრ გარანტიის"

გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული.

3.8 არარეზიდენტი მიმწოდებლის მიერ საავანსო-საბანკო გარანტიის ინვოისი წარმოდგენილი უნდა იყოს საავანსო-საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 2 (ორი) სამუშაო დღეში;

3.9 ავანსად გაცემული თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

3.10 ანგარიშსწორება განხორციელდება _____ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

IV. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

4.1.1 გადასცეს "შემსყიდველს" საქონელი (თანმდევი მომსახურებით) ექსპლუატაციაში არ მყოფი, არ უნდა იყოს აღდგენილი და მეორადი.

4.1.2 საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მოწოდება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი#1–ის (ფასების ცხრილი), დანართი #2–ის (ტექნიკური პირობა) და დანართი #3-ის (უსაფრთხოების წესები და პირობები) შესაბამისად.

4.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

4.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად გადაიხადოს მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ღირებულება;

4.2.2 შეამოწმოს საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მდგომარეობა ვარგისიანობაზე;

4.2.3. წერილობით შეატყობინოს "მიმწოდებელს" მიღების ან ექსპლუატაციის დროს საქონელზე (თანმდევი მომსახურებით) შემჩნეული ნაკლის აღმოჩენისთანავე.

4.3 ,,მიმწოდებლის" მივლინებულმა პერსონალმა საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მოწოდება უნდა განახორციელოს განწესით ან/და განკარგულებით, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #3–ში განსაზღვრული უსაფრთხოდ წარმოების წესის და პირობების მკაცრი დაცვით.

V. მიწოდების ვადა და ადგილი

5.1 საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2 ობიექტზე დაშვების უფლების მისაღებად ,,მიმწოდებელი" ვალდებულია ,,შემსყიდველს" მიმართოს წერილობით. ,,შემსყიდველი" ,,მიმწოდებლის" ობიექტზე დაშვებას უზრუნველყოფს ,,მიმწოდებლის" წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი პროცედურების დაცვით.

5.3 საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მოწოდება უნდა განხორციელდეს ტრანსპორტირების ხარჯების გათვალისწინებით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. #2. (სს "სსე"-ს სათავო ოფისი).

* საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მიწოდება უნდა განხორციელდეს სამუშაო საათებში (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 09:00 - 18:00 სთ., ოფიციალური უქმე დღეების გარდა), თუ საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მიწოდება დაემთხვა არასამუშაო დღეს, მიმწოდებელმა საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მიწოდება უნდა უზრუნველყოს მომდევნო სამუშაო დღეს.

VI. გარანტია

6.1. "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

6.2. საქონლის (თანმდევი მომსახურებით) საგარანტიო ვადა შეადგენს - (-) წელს, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

6.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში თუ გამოვლინდება რაიმე ხარვეზი ან შეუსაბამობა, "მიმწოდებელი" ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს ხარვეზი "შემსყიდველის" წერილობითი შეტყობინების მიღებიდან – (–) კალენდარული დღის განმავლობაში, თუ ეს შეუძლებელია "მიმწოდებელმა" "შემსყიდველის" წერილობითი შეტყობინების მიღებიდან – (–) კალენდარული დღის განმავლობაში უნდა შეცვალოს საქონელი.

6.4 თუკი საგარანტიო ვადის ფარგლებში საქონელი შეიცვლება ახლით მასზე გავრცელდება ამავე მუხლის 6.2 პუნქტით განსაზღვრული საგარანტიო ვადა (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან - (-) წელი)

6.5 წუნის/ხარვეზის/დეფექტის/გაუმართაობის შემთხვევაში საქონლის ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა.

VII. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 ,,მიმწოდებლის" მიზეზით საქონლის (თანმდევი მომსახურებით) დაგვიანებით, არასრულად, ხარვეზით ან საერთოდ არ მიწოდების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი" მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო მოუწოდებელი საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე, ხარისხიანი საქონლის (თანმდევი მომსახურებით) სრულად მიწოდების დღემდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

7.2 ამ ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო "მიმწოდებელს" გადასახდელად დაერიცხება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ გამოასწორებს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილ

ხარვეზს ან არ შეცვლის საქონელს (თანმდევი მომსახურებით) ამ ხელშეკრულებით საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორებისთვის/საქონლის (თანმდევი მომსახურებით) შეცვლისთვის დადგენილ ვადებში - შესატყვისი ვადის გასვლიდან ხარვეზის გამოსწორების/საქონლის (თანმდევი მომსახურებით) შეცვლის ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

7.3 „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ღირებულების ვადაგადაცილებით (არადროულად) გადახდის შემთხვევაში, ,,მიმწოდებლი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,შემსყიდველს“ პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ან თანხის სრულად გადახდამდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

7.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას.

7.5 ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია ფაქტიურად მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და “მიმწოდებელზე” დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა ,,მიმწოდებლისათვის“ გადასახდელი თანხის ოდენობიდან. აღნიშნული გამოქვითვა არ შეიძლება გახდეს ,,მიმწოდებლის“ მხრიდან ,,შემსყიდველისათვის“ 7.3 პუნქტით გათვალიწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი.

7.6 ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5% -ის ოდენობით.

VIII.. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი/ინსპექტირება

8.1 ,,შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი/ინსპექტირება ,,მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

8.2 “მიმწოდებელი” ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის/ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.3 ,,შემსყიდველის“ მხრიდან ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს/ინსპექტირებას ახორციელებს სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ----------,

8.4 კონტროლი/ინსპექტირება განხორციელდება მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ხარისხისა და მიწოდების ვადების შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან.

8.5 საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მოწოდებისას “შემსყიდველის” მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 8.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს მოწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით) შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან და აფორმებს შესაბამის ინსპექტირების აქტს, ფაქტობრივად მიღებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მიხედვით.

IX. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება დადებითი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, საბოლოოდ, სრულად ან/და მიწოდების დასრულებისას ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით) შესაბამისად.

9.2 საქონელი (თანმდევი მომსახურებით) მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე. მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდგომ პასუხისგებლობა საქონელზე (თანმდევი მომსახურებით) გადადის შემსყიდველზე.

9.3 “შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირი არის სს “სსე”-ს დირექტორთა საბჭოს შესაბამისი წევრი ან/და შესაბამისი დეპარტამენტის უფროსი”.

X. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს–მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო–სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა დაშესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს

გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

XI. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

11.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2 შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.3. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

11.3.1. მხარეთა შეთანხმებით;

11.3.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში;

11.4 ,,შემსყიდველს“ შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:

11.4.1. თუ “შემსყიდველისათვის” ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2. ,,მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ “მიმწოდებლის” მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება, რაც წარმოადგენს, ,,შემსყიდველის“ მხრიდან ნდობის დაკარგვის საფუძველს.

11.4.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში “შემსყიდველი” ვალდებულია აუნაზღაუროს “მიმწოდებელს” ფაქტიურად მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ღირებულება.

XII. ურთიერთობა მხარეებს შორის

12.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, ხორციელდება საფოსტო გზავნილის ან ელექტრონული კომუნიკაციის გზით ხელმძღვანელობაზე ან /და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ან ამ კონტრაქტის ფარგლებში უფლებამოსილი საკონტაქტო პირების (ელექტრონული კომუნიკაციის შემთხვევაში) მიერ. ოპერატილი კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელ. ფოსტით (წერილის სკანირებილი ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით.

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12.3 ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის ელექტრონული კომუნიკაციის წარმოების პროცესში პასუხისმგებელი პირის დანიშვნა, საკონტაქტო საკითხების მითითებით ხორციელდება მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

XIII. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

XIV. დავათა განხილვა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს. დავის განხილვა მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

XV. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოწურულად ჩაითვლება აღნიშნული პირობების შესრულებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 20-- წლის ——— ჩათვლით, ხოლო საგარანტიო ვალდებულებების ნაწილში საგარანტიო ვადის ბოლომდე.

XVI. ხელშეკრულების სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

16.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

16.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

XVII. კონფიდენციალურობა და გაუმჟღავნებლობა:

17.1 მხარეები აცნობიერებენ, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ დანერგილია ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა ISO/IEC 27001 მიხედვით და შესაბამისად, შემდგომ ურთიერთობებში ითვალისწინებენ „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კონფიდენციალურობისა და გაუმჟღავნებლობის პირობებს“, რომელიც გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე www.gse.com.ge (ჩვენს შესახებ/ შესყიდვები/კონტრაქტის პირობები).

XVIII. მხარეთა რეკვიზიტები

“შემსყიდველი”: **“მიმწოდებელი”:**

დანართი #1,
ფასების ცხრილი:

დანართი #2,
ტექნიკური პირობა:

დანართი #3,
უსაფრთხოების წესები და პირობები

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სათაო ოფისში გათბობის ქვაბის სანთურის შეცვლის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით.

1. მომსახურების მწარმოებელმა საწარმომ სამუშაოები უნდა ჩაატაროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ასევე, შემდეგი ნორმატიული აქტების მოთხოვნების განუხრელი დაცვით: 1) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი – „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“; 2) საქართველოს მთავრობის 17.12.2013 წლის N340 დადგენილებით დამტკიცებული „უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას“; 3) საქართველოს მთავრობის 2007 წლის 4 ივლისის N 134 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“; 4) საქართველოს ორგანული კანონი, შრომის უსაფრთხოების შესახებ.

2. ობიექტზე დაშვებისათვის მომწოდებელი საწარმო ვალდებულია, მომსახურების დაწყებამდე არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე სსე–ს წერილობით მიაწოდოს მომსახურების უსაფრთხოდ ჩატარებაზე პასუხისმგებელ მივლინებულ პირთა სია: გვარების, ინიციალების, პირადობის მოწმობის პირადი ნომრების, თანამდებობების, მათთვის მინიჭებული უფლებების (სამუშაოთა ხელმძღვანელი, სამუშაოთა მწარმოებელი, მეთვალყურე, ბრიგადის წევრი) მითითებით;

3. მომსახურების მწარმოებელი საწარმო ვალდებულია **გააჩნდეს** (ან/და სარგებლობდეს მომსახურებით) **შრომის უსაფრთხოების სერთიფირებული სპეციალისტი, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით;**

4. მომსახურების მწარმოებელი ვალდებულია წარუდგინოს ელექტროსისტემას **რისკების შეფასების დოკუმენტი,** რომელიც უნდა ეფუძნებოდეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ მეთოდოლოგიას და მოიცავდეს მომსახურეობის სივრცეში დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრას (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 2020 წლის 30 იანვარი 01-15/N);

5. ობიექტზე დაშვებისას ყველა მივლინებულმა პირმა/მუშაკმა სავალდებულოდ თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მოწმობა/პასპორტი);

6. მომსახურების მწარმოებელი საწარმო ვალდებულია ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან **(COVID-19) დაკავშირებით დაიცვას ქვეყანაში მოქმედი რეკომენდაციები;**

7. მივლინებული საწარმოს მუშაკი ობიექტზე არ დაიშვება იმ შემთხვევაშიც, თუკი მისი პიროვნება (სახელი,

გვარი და პირადი ნომერი) არ აღმოჩნდება ობიექტზე გადაცემულ სიაში;

8. დაშვებამდე, მივლინებულმა პირებმა ერთჯერადად უნდა გაიარონ შესავალი და პირველადი ინსტრუქტაჟები ჟურნალში გაფორმებით. აღნიშნული ინსტრუქტაჟები წარმოადგენს ადგილობრივ თავისებურებათა და გამოყოფილ უბანზე საშიში გარემოებების/ფაქტორების შესახებ ინფორმირებას;

9. მომსახურების მწარმოებელი ვალდებულია მის მიერ გადმოცემულ პერსონალის სიაში **ცვლილების აუცილებლობის შესახებ ინფორმაცია**, წერილობით აცნობოს ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (სსე) ამ პერსონალის ობიექტზე დაშვებამდე **არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;**

10.მივლინებულ პირებისთვის სსე უზრუნველყოფს აუცილებლობის შემთხვევაში შენობაში არსებულ კომუნიკაციებთან (ელ-ენერგია, წყალი და ა.შ.) წვდომას.

11. მივლინებულმა პირებმა სამუშაოები უნდა აწარმოონ გამოყენებისათვის ვარგისი დამცავი საშუალებების (ჩაფხუტი, სათვალე, ხელთათმანები და სხვა) სავალდებულო გამოყენებით. აღნიშნული საშუალებები ობიექტზე დაშვებისას თან უნდა იქონიონ/მოიტანონ მივლინებული საწარმოს მუშაკებმა.

12.მივლინებულ პირებს, სსე-ს ობიექტების ტერიტორიაზე მკაცრად ეკრძალებათ ნებისმიერი ზომისა და სახეობის ცივი, ცეცხლსასროლი, გაზის, პნევმატური, სათამაშო/სასწავლო და სხვა სახის იარაღის, საბრძოლო მასალების (მათ შორის, სასწავლო/სათამაშო ნიმუშების), ნებისმიერი სახეობისა და რაოდენობის ასაფეთქებელი, მომწამვლელი ან/და ადამიანებისა და გარემოსათვის საშიში სხვა ნივთიერებების, აგრეთვე, ნარკოტიკული/ფსიქოტროპული საშუალებების და ალკოჰოლური სასმელების შეტანა;

13. აკრძალულია, სსე-ს ობიექტებზე გამოცხადება ნასვამ (ალკოჰოლური ზემოქმედების) მდგომარეობაში, ფსიქოტროპული ან/და ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ. ნებისმიერი ზემოთ აღნიშნული მოთხოვნიდან ერთ–ერთის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მივლინებული მუშაკი არ დაიშვება ობიექტზე, ხოლო პასუხისმგებელ პირებს დაეკისრებათ შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობა;

14. ობიექტზე დაშვებული ყველა მივლინებული პირი ფიზიკური/ფსიქიკური მონაცემებით უნდა შეესაბამებოდეს მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოს, უნდა იყოს ჯანმრთელი და გავლილი უნდა ჰქონდეთ ჯანმრთელობის სამედიცინო შემოწმება;

15. ობიექტზე დაშვებას განწესის მიხედვით ასრულებს სსე-ს წარმომადგენელი (დამშვები), მოქმედი წესების შესაბამისად;

16. მივლინებულ პირებს ეკრძალებათ ობიექტზე ნებისმიერი სახის (ღია, დახურულ ან/და კომპლექტურ) ელექტრო გამანაწილებელ მოწყობილობებში შესვლა, ასევე სხვა საწარმოო სათავსოებში თუ ტერიტორიაზე მოძრაობა (გარდა უშუალოდ მათთვის გამოყოფილი სამუშაო და სამოძრაო ადგილისა), დათვალიერება ან რაიმე სამუშაოების ჩატარება;

17. მივლინებულმა პირებმა მომსახურების გაწევის ადგილზე უნდა უზრუნველყონ საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა განუხრელი დაცვა. მომსახურების გაწევის დროს აკრძალულია ფეთქებადი და ადვილადაალებადი ნივთიერებების გამოყენება. მომსახურების გაწევისას მიღებული და დაცული უნდა იყოს აფეთქება და ხანძარსაწინააღმდეგო ზომები. მივლინებულ პირებს ობიექტის ტერიტორიაზე ეკრძალებათ თამბაქოს მოწევა, გარდა სპეციალურად საამისოდ გამოყოფილი ადგილებისა;

18. სამუშაო ადგილზე/გამოყოფილ უბანზე უსაფრთხოების ტექნიკის და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვაზე, მივლინებული მუშაკების უსაფრთხოდ მუშაობაზე და მათი კვალიფიკაციის შესაბამისობაზე ჩასატარებელი სამუშაოს სპეციფიკასთან, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მიმავლინებელ საწარმოს. ამასთან, მივლინებული პირები ვალდებულნი არიან მკაცრად დაიცვან სამუშაო ადგილებზე არსებული მოწყობილობა– დანადგარების, აპარატურის, კომპიუტერული და სხვა აღჭურვილობის მუშაობის დადგენილი რეჟიმები და თავიანთი ქმედებებით არ გამოიწვიონ რაიმე შეფერხებები;

19. მომსახურების წარმოებისას აკრძალულია ძირითადი და საევაკუაციო გზების სხვადასხვა მასალით, ნაკეთობებით, მოწყობილობებით, ნარჩენით და სხვა საგნებით ჩახერგვა. ნარჩენების გატანა უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად და არ მოხდეს მათი დაგროვება ობიექტზე;

20. სამუშაო დღის განმავლობაში შესვენების დროს (შესვენება სადილზე, მუშაობის პირობებით გამოწვეული შესვენება და სხვა) ბრიგადა გამოყვანილი უნდა იქნას სამუშაო ადგილიდან. ბრიგადის წევრებს შესვენების შემდეგ უფლება არა აქვთ მომსახურების მწარმოებლის (მეთვალყურის) გარეშე დაბრუნდნენ სამუშაო ადგილზე. შესვენების შემდეგ დაშვებას ახორციელებს მომსახურების მწარმოებელი (მეთვალყურე) განწესში გაუფორმებლად.

21. მომსახურების სრულად დამთავრების შემდეგ მომსახურების მწარმოებელმა უნდა გაიყვანოს ბრიგადა მომსახურების გაწევის ადგილიდან, ტერიტორია მოაწესრიგოს, მოხსნას მხოლოდ ბრიგადის მიერ დაყენებული დროებითი შემოღობვები და უსაფრთხოების გადასატანი პლაკატები. და აცნობოს სსე–ს მხრიდან გამოყოფილ შესაბამის პერსონალს.

22. წინამდებარე „სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების წესი და პირობები“ ძალაშია სსე–ს და მომსახურების გამწევ საწარმოს შორის დადებული შესაბამისი ხელშეკრულების მოქმედების ვადით.